ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1321596

ნომერი: AR1224081

თარიღი : 30.05.2014

გაცემის თარიღი : 10.06.2014

გაცნობის თარიღი : 12.06.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფეიქრები , N 14 , (ნაკვ. N004/011) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით თევდორაძე პ/ნ 01017015987
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 26

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 30.05.2014 წ. #AR1224081 განცხადებით მომართა დავით თევდორაძემ და მოითხოვა 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 20.05.2008 წ. #01.11.19.004.004 (18236 კვ.მ) საკადასტრო ერთეულზე საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტის აშენების მიზნით დადგენილ იქნა #434

ქალაქთმშენებლობითი პირობები. სამსახურის 12.11.2008 წ. #1443 ბრძანებით 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში შევიდა ცვლილებები, კერძოდ: დამკვეთად და მესაკუთრედ შპს „სამთა“–ს ნაცვლად მიეთითა შპს "ბი-ეს-სი ელიკაბელ ინკი", საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - #01.11.19.004.006, ფართობი - 2080 კვ.მ. მოგვიანებით, სამსახურის 03.08.2010 წ. #3729 ბრძანებით კვლავ განხორციელდა ცვლილება 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ: საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - #01.11.19.004.011, ფართობი - 2149 კვ.მ. დღევანდელი მდგომარეობით მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა "შპს ავტო-ბანი" (განცხადების რეგისტრაციის #882013463664, თარიღი 30/09/2013).

განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ საპროექტო ობიექტის დასახელებაში ავტოსერვისის დამატებას.

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობითი პირობებში გაცემულია – საწარმოო ზონის პარამეტრებით და პირობებით. დღევანდელი მდგომარეობით საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს–1), სადაც შესაძლებელია განმცხადებლების მიერ მოთხოვნილი ობიექტის დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილება და დამატება მის მიერ გამოცემულ აქტში. დღეისათვის ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახური აღარ არსებობს, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 9 მარტის #194 განკარგულებით მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შეიტანოს ცვლილებები ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის და იმ საქალაქო სამსახურების სამართლებრივ აქტებში ვისი სამართალმემკვიდრეც იყო ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახური.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში ახალი საპროექტო ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებს დაემატოს ახალი საპროექტო ობიექტი, კერძოდ – ავტოსერვისი.
2. ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებში შენიშვნის სახით დაფიქსირდეს შემდეგი:
- ავტოსერვისის ბოქსების განთავსება უნდა მოხდეს ნაკვეთის სიღრმეში, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი არქიტექტურული გადაწყვეტა, რომ ბოქსებთან მომსახურება არ აღიქმებოდეს ქუჩის მხრიდან.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 20.05.2008 წ. #434 ქალაქთმშენებლობით პირობებთან, 12.11.2008 წ. #1443 და 03.08.2010 წ. #3729 ბრძანებებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.